საქართველო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 11693/01
27/11/2019

11693-01-2-201911271419

**შპს „ოთო ტრანსის“ დირექტორს ბატონ სოსლან თურმანიძეს**
**მის:** *ქ. ბათუმი, ანა კალანდაძის N80*

ბატონო სოსლან,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 22 ნოემბრის №16813 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, დასახლება კახაბერში ავტოგასამართი სადგურის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- განცხადებაში მოცემული უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატები, მანძილი საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე;
- ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედების და მისი მართვის/განთავსების შესახებ;
- წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სალექარში გაწმენდილი წყლის მართვის შესახებ;
- სამრეწველო ზონის გათვალისწინებით, კუმულაციურ ზემოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები;
- წარმოდგენილი ინფორმაციის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა რომ საპროექტო ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს მდებარეობს არხი, რასთან დაკავშირებითაც განცხადებაში ინფორმაცია არ არის მოცემული.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, უზრუნველყოთ დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა სამინისტროში, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ზემოაღნიშნული ინფორმაცია.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013